ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის
N46 ბინაზე, მოქალაქე ვალერი შაგოსათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ვალერი შაგოს წარმომადგენლის მარიამ სანებლიძის განცხადება /2012 წლის 31.01 Nს–862/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N46 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ვალერი შაგოს სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვალერი შაგოს /პირადი N60002016051/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2–6 საცხოვრებელი სახლის N46 ბინაზე /საერთო ფართობი 63,55 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,89 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,66 კვ.მ./ მოქალაქე ვალერი შაგოს სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　　　　　　　　　გ.თევდორაძე